

სახელმძღვანელო მითითება

სახელმძღვანელო მითითებები  
EBRD-ის პროექტის  
ანგარიშვალდებულების  
პოლიტიკის დოკუმენტის  
შესაბამისად საქმის განხილვის  
შესახებ

2019 წლის 25 აპრილი

## შინაარსი

ნაწილი I:	მიზანი .....	3
ნაწილი II:	განმარტებები .....	3
ნაწილი III:	რეგულირების სფერო.....	4
ნაწილი IV:	საჯაროობა .....	12
ნაწილი V:	ამოქმედების თარიღი .....	12
ნაწილი VI:	გადაწყვეტილებების მიღების ჩარჩო.....	12
ნაწილი VII:	შესაბამისი დოკუმენტები .....	12

## სახელმძღვანელო მითითება

### სახელმძღვანელო მითითება EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად საქმის განხილვის შესახებ

#### ნაწილი I: მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის დოკუმენტის (ე.ი. პოლიტიკის დოკუმენტის) სახელმძღვანელო მითითებების უზრუნველყოფა და სხვა დამატებითი ინფორმაციის შეთავაზება იმის შესახებ, თუ როგორ განახორციელებს პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM) განაცხადების სკრინინგს, განიხილავს საქმეებს და შეასრულებს თავისი მანდატით გათვალისწინებულ სხვა ასპექტებს.

IPAM-ის მიზანია დახმარება გაუწიოს დაინტერესებულ მხარეებს საქმეთა განხილვის ეტაპების წარმართვაში.

#### ნაწილი II: განმარტებები

წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებაში გამოყენებულ ტერმინებს იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც პოლიტიკის დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს.

კერძოდ:

ა) განმარტება "პროექტი" მოიცავს მითითებას პროექტის "დამტკიცებაზე". საბჭო წარმოადგენს ბანკის მიერ შემოთავაზებული ინვესტიციების დამტკიცებაზე პასუხისმგებელ ორგანოს. თუმცა, საბჭომ შეიძლება მოახდინოს აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირება ბანკის რომელიმე კომიტეტზე, რომელიც გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. მითითება პოლიტიკის დოკუმენტში პროექტის "დამტკიცებაზე" განიხილება, როგორც EBRD-ის კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება შემოთავაზებული ინვესტიციის შესახებ; ეს ორგანო არის საბჭო ან, გარემოებების გათვალისწინებით, სხვა ორგანო ან ბანკის ხელმძღვანელობის კომიტეტი, რომელსაც საბჭომ გადასცა უფლებამოსილება პროექტთან მიმართებაში.

ბ) განმარტება „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკა“ მოიცავს ნებისმიერ შესაბამის დირექტივას (მაგ. დირექტივას, რომელიც დაკავშირებულია ბანკის პრეზიდენტის მიერ ბანკის საინფორმაციო საკითხების გასაჯაროებასთან, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის შესაბამისად), რომელიც პერიოდულად იცვლებოდა. პოლიტიკის დოკუმენტის 2.6 პუნქტის თანახმად, შესაბამისობის შეფასების მეშვეობით შეიძლება შეფასდეს ასრულებს თუ არა ბანკი ინფორმაციის

ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებს ან სხვა შესაბამის დირექტივას; ხოლო პოლიტიკის 2.7 პუნქტის თანახმად, შესაბამისობის შემოწმებით დადგინდება დაარღვია თუ არა ბანკმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებული დებულებები ან სხვა შესაბამისი დირექტივა.

### ნაწილი III: რეგულირების სფერო

#### საქმეების განხილვის პროცესი

##### 1. განაცხადის წარდგენა

1.1 ვის შეუძლია განაცხადის წარდგენა. IPAM-ი აცნობიერებს, რომ იმ ორგანიზაციების მიერ წარდგენილი განაცხადები, რომლებზეც პროექტი პირდაპირ ან პერსონალურად არ ახდენს ზემოქმედებას, შეიძლება დაკავშირებული იყოს ექსკლუზიურად გარემოსდაცვით საკითხებთან, სადაც არ არსებობენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები (მაგ. თუ პრობლემები შეეხება ბიომრავალფეროვნებას მოშორებულ ტერიტორიებზე, სადაც არ ხორციელდება მიწათსარგებლობა და რესურსების გამოყენება ადგილობრივი და რეგიონის მოსახლეობის მიერ). ასეთ შემთხვევებში, ორგანიზაციებს მარტივად შეუძლიათ წარმოადგინონ ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით პოლიტიკის დოკუმენტის 2.1გ)vi) პუნქტის შესაბამისად, რათა IPAM-მა უარი თქვას მოთხოვნებზე, რომელთა თანახმადაც, ორგანიზაციამ უნდა დაამტკიცოს, რომ მათ განაცხადის წარდგენამდე ურთიერთობა ჰქონდათ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ადამიანებთან.

1.2 დაზუსტება განაცხადის შეტანის შესახებ. ნებისმიერი პირი ან ორგანიზაცია შეიძლება დაუკავშირდეს IPAM-ს განაცხადის შედგენამდე ან მის წარდგენამდე, რათა მიიღოს დაზუსტებული ინფორმაცია საქმეების განხილვის პროცესის შესახებ. IPAM-ს შეუძლია წარმოადგინოს ინფორმაცია IPAM-ის მიდგომებისა და პროცედურების შესახებ და გააკეთოს ახსნა-განმარტებები IPAM-ის პოლიტიკის დოკუმენტისა და სახელმძღვანელო მითითების დებულებების შესახებ, განაცხადის ძირითადი ასპექტების შესახებ რეკომენდაციების გაცემის გარეშე. IPAM-ს შეუძლია ინფორმაცია წარმოადგინოს კონფიდენციალურობის საფუძველზე, თუ დაინტერესებული მხარე გამოთქვამს ასეთ სურვილს. IPAM-თან კომუნიკაცია შესაძლებელია ქვემოთ წარმოდგენილი ელექტრონული ფოსტის, ფაქსის, საფოსტო მისამართის ან ტელეფონის ნომრის მეშვეობით. თუკი საერთაშორისო ზარების განხორციელება შეუძლებელია, IPAM-ს, მოთხოვნის შემთხვევაში, შეუძლია ტელეფონზე დაურეკოს დაინტერესებულ პირებსა თუ ორგანიზაციებს. განაცხადის წარდგენის შემდეგ, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, IPAM-ს შეუძლია განიხილოს აღნიშნული ხარვეზი განმცხადებლებთან და დააკონკრეტოს

რა იქნება აუცილებელი სრულყოფილი განაცხადისთვის პოლიტიკის დოკუმენტის 2.2ვ) პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, გამოცემები, სადაც შეჯამებულია IPAM-ის პროცესები, ხელმისაწვდომია IPAM-ის ვებგვერდზე.

**ელექტრონული ფოსტა:** ipam@ebrd.com

**ტელეფონი:** +44 7881013976

**ფაქსი:** +44 20 7338 7633

**მისამართი:**

Independent Project Accountability Mechanism  
European Bank for Reconstruction and Development  
One Exchange Square  
London  
United Kingdom  
EC2A 2JN

- 1.3 განმცხადებლის წარმომადგენლობა.** წარმომადგენელს შეუძლია მხარი დაუჭიროს განმცხადებელს საქმის განხილვის მთლიანი პროცესის განმავლობაში. თუმცა, ექვსის თავიდან აცილების მიზნით, განმცხადებლებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეიტანონ ცვლილებები წარმომადგენლობის ავტორიზაციაში (მაგ. სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ განაცხადთან ან საქმესთან დაკავშირებული აქტივობები წარმომადგენლების გარეშე გააგრძელონ).
- 1.4 კონფიდენციალურობა და განმცხადებელთა ვინაობის დაცვა.** იმ შემთხვევაში, თუ კონფიდენციალურობის დაცვა პირდაპირ არის მოთხოვნილი პოლიტიკის დოკუმენტის 2.2გ)ii. პუნქტის თანახმად, IPAM-ი (ა) არც ერთ მხარეს არ გაუმჟღავნებს განმცხადებლების ვინაობას, არს სიტყვიერად და არც სხვაგვარად და (ბ) ამოიღებს განაცხადში და IPAM-ის ანგარიშებში არსებულ შესაბამის ინფორმაციას, როგორც განმცხადებელთა ვინაობების დაცვის უმთავრეს მეთოდს. სხვა მეთოდები, როგორცაა უსაფრთხო ელექტრონული ფოსტის, ტელეფონის და ვიდეოკონფერენციის ინსტრუმენტების გამოყენება; განმცხადებლებთან კოორდინაცია ობიექტზე ვიზიტის მიდგომებთან დაკავშირებით; ნებისმიერ შესაბამის მხარესთან შეხვედრების ჩაწერის აკრძალვა; სატელიტური დიპლომატია; ან სხვა ის მეთოდები, რომლებსაც IPAM-ის ხელმძღვანელი და განმცხადებლები მიიჩნევენ მიზანშეწონილად, ასევე გამოყენებული იქნება განმცხადებლების ვინაობების დასაცავად.
- 1.5 მონაცემთა წარდგენა:** IPAM-ი აღიარებს, რომ პროექტის ყველა დაინტერესებულ მხარეს ერთნაირ დონეზე ვერ ექნება წვდომა

პროექტთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციაზე. საქმის განხილვის მთელი პროცესის განმავლობაში, IPAM-ი გამოიყენებს მიდგომას *prima facie*, რაც ნიშნავს იმას, რომ მექანიზმი განმცხადებლების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას მიიღებს, როგორც პირველი შთაბეჭდილებით სწორ ინფორმაციას, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

**1.6 რეგისტრაციის დროს IPAM-ის რომელიმე ფუნქციის უპირატესობის განსაზღვრა.** შესაძლებელია, რომ განმცხადებლები ან მათი წარმომადგენლები არ იცნობდნენ ან მკაფიო წარმოდგენა არ ჰქონდეთ IPAM-ის საქმის განხილვის ორ ფუნქციაზე (პრობლემების გადაწყვეტის ფუნქცია და შესაბამისობის ფუნქცია). IPAM-ის პერსონალი, განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციის შემდეგ, შეფასების ეტაპის ფარგლებში, აკეთებს განმარტებებს პრობლემების გადაწყვეტისა და შესაბამისობის ფუნქციის თვისებების, მიდგომების, ღონისძიებებისა და შესაძლო შედეგების შესახებ.

## 2 რეგისტრაცია

**2.1** პოლიტიკის დოკუმენტის 2.2გ) პუნქტში არაფერია მითითებული IPAM-ის მანდატის შეზღუდვის შესახებ, შესაბამისობის შემოწმების ან პრობლემების გადაწყვეტის ინიციატივების ფარგლებში შეამოწმოს განაცხადები, რომლებიც დაკავშირებულია: ბანკის საფინანსო საშუაშაგლო პროექტებთან; კლიენტის საფინანსო საშუაშაგლო ვალდებულებებთან, რომლებსაც გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა ითვალისწინებს; მესამე მხარეთა აქტივობებთან, რომლებიც მოქმედებენ კლიენტის სახელით ან ახორციელებენ პროექტის რეალიზაციის ასპექტებს (როგორცაა, კერძო უსაფრთხოების ორგანოები, კონტრაქტორები ან კონსულტანტები); ან ნებისმიერი სხვა სუბიექტის სახელით, რომელიც კონტროლდება ბანკის ან კლიენტის მიერ, ან რომელსაც ოფიციალური ურთიერთობა აქვს ბანკთან ან კლიენტთან პროექტთან დაკავშირებით.

**2.2** IPAM-ის მანდატი საშუალებას აძლევს მას განიხილოს გარემოსდაცვითი, სოციალური და გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც გათვალისწინებულია ექსკლუზიურად გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებული დებულებებით. თუმცა, ბანკის სხვა ოფისები და დეპარტამენტები მრავალმხრივ განიხილავენ არაერთ ისეთ საკითხს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ პოლიტიკის დოკუმენტის 2.2გ) პუნქტით გათვალისწინებულ რეგისტრაციის მოთხოვნებს:

- ა) შესაბამისობის უზრუნველყოფის მთავარი ოფიცრის ოფისი პასუხისმგებელია თაღლითობასთან, კორუფციასა და გადაცდომასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. EBRD-ის შესაბამისობის უზრუნველყოფის ფუნქციის გაცნობა შესაძლებელია მისამართზე: <https://www.ebrd.com/who-we-are/our-values/investigating-fraud-and-corruption.html>. პრობლემების შესახებ ინფორმაციის გაგზავნა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მისამართზე [compliance@ebrd.com](mailto:compliance@ebrd.com).
- ბ) შესყიდვების პოლიტიკისა და კონსულტაციის დეპარტამენტი პასუხისმგებელია შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვაზე. ინფორმაცია შესყიდვებთან დაკავშირებული საჩივრების დამუშავების, საჩივრების დასაშვებობისა და [EBRD-ის საჩივრის ფორმაზე](https://www.ebrd.com/work-with-us/procurement/project-procurement-complaints.html) წვდომის შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე: <https://www.ebrd.com/work-with-us/procurement/project-procurement-complaints.html>. საჩივრების გაგზავნა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მისამართზე [ProcurementComplaint@ebrd.com](mailto:ProcurementComplaint@ebrd.com).
- გ) კითხვები ან პრობლემები, რომლებიც სცდება აღნიშნულ მიმართულებებს, შეიძლება გაიგზავნოს EBRD-ის სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის განყოფილებაში, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით [cs@ebrd.com](mailto:cs@ebrd.com). ინფორმაცია საზოგადოების EBRD-თან თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.ebrd.com/who-we-are/civil-society-engagement/contact.html>.

## 2.3 განაცხადის შეჩერება.

2.3.1 რეგისტრაციის პროცესის დროს IPAM-ი, როგორც წესი, კონსულტაციებს მართავს განმცხადებლებთან, რათა ხელი შეუწყოს განაცხადისა და იმ საკითხების უკეთეს გაგებას, რომლებიც საფუძვლად უდევს განაცხადის წარდგენას და განსაზღვროს არის თუ არა მასში რაიმე ხარვეზი, რაც განაცხადს არასრულყოფილს ხდის, მაგრამ რომლის გამოსწორებაც შესაძლებელია.

2.3.2 ისეთ სიტუაციებში, სადაც განაცხადი შეჩერებულია და, შედეგად, დახურულია პოლიტიკის დოკუმენტის 2.2ვ) პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის გამო (მათ შორის განაცხადში არსებული ხარვეზის გამოუსწორებლობა პოლიტიკის დოკუმენტის 2.2ვ) პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში), განმცხადებლებს არ ეკრძალებათ განაცხადის ხელმოწერა წარდგენა მომავალში,

როდესაც მასში შეიტანენ პოლიტიკის დოკუმენტით მოთხოვნილ დამატებით ინფორმაციას, რაც განაცხადს სრულყოფილს გახდის.

**2.4 შედეგები.** IPAM-ში განაცხადის დარეგისტრირება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ეტაპს, რომელიც ადასტურებს, რომ განაცხადი აკმაყოფილებს პოლიტიკის დოკუმენტის 2.2 პუნქტით გათვალისწინებულ რეგისტრაციის კრიტერიუმებს. აუცილებელია დაზუსტდეს, რომ განაცხადის რეგისტრაცია არ მოიცავს განაცხადის შინაარსის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც დაფუძნებულია ფაქტობრივ გარემოებებზე, სიმართლესა და სისწორეზე.

### **3 შეფასება**

**3.1 შედეგები.** IPAM-ის განაცხადის შეფასება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ეტაპს, რომლის მიზანია შეაფასოს მხარეების მზაობა, მონაწილეობა მიიღონ თითოეულ ფუნქციაში და ნებისმიერი ასეთი შესასრულებელი ფუნქციის განსაზღვრაში. აუცილებელია გაირკვეს, რომ განაცხადის შეფასება არ მოიცავს განაცხადის შინაარსის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც დაფუძნებულია ფაქტობრივ გარემოებებზე, სიმართლესა და სისწორეზე.

### **4 პრობლემების გადაწყვეტა**

**4.1 მიდგომა.** პრობლემების გადაწყვეტის ფუნქციის მეშვეობით შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა მიდგომის გამოყენება მხარეთა შორის საკითხების გადასაწყვეტად. IPAM-ი მიდგომებს შეარჩევს მხარეებთან კონსულტაციის შედეგად, რომელიც შეიძლება მოიცავდეს:

- ა) **დახმარებას და ინფორმაციის გაზიარებას:** არაერთ შემთხვევაში, განაცხადით წამოიჭრება საკითხები, რომლებიც შეეხება პროექტის მიმდინარე თუ მოსალოდნელ ზემოქმედებას. ინფორმაციის გამარტივებული გაზიარების მიზანი იქნება განმცხადებლების დახმარება ისეთი ინფორმაციის ან განმარტების მოპოვებაში, რომელიც გადაწყვეტს პრობლემებს.
- ბ) **მედიაციას ან შერიგებას:** მედიაცია მოიცავს ნეიტრალური მესამე მხარის ჩარევას დავაში, რომლის მიზანია დაეხმაროს მხარეებს ნებაყოფლობით მიაღწიონ ორმხრივად დამაკმაყოფილებელ შეთანხმებას.



ალტერნატივის სახით, შერიგების პროცესში, ნეიტრალურ მესამე მხარეს ასევე შეუძლია რეკომენდაციები მისცეს მონაწილეებს პროცესის განხორციელების ფარგლებში.

- გ) **ფაქტების ერთობლივად დადგენას:** როდესაც პროექტის ფაქტების ირგვლივ არსებობს ბუნდოვანება, მხარეებმა შეიძლება ფაქტების ერთობლივად დადგენა მიიჩნიონ მათთვის სათანადო მიდგომად. მხარეები ერთობლივად შეთანხმდებიან განსახილველ საკითხებზე და ასევე მეთოდებზე, რესურსებსა და იმ პირებზე, ვინც განახორციელებს შემოწმებას. მხარეები ასევე შეთანხმდებიან იმაზე, თუ როგორ მოხდება ფაქტების ერთობლივად დადგენის შედეგად შეგროვებული ინფორმაციის გამოყენება მხარეთა მიერ.
- დ) **დიალოგს და მოლაპარაკებების მხარდაჭერას:** როდესაც მხარეთა შორის კომუნიკაცია შეზღუდული ან დარღვეულია, IPAM-მა მხარეებს შეიძლება მოუწოდოს პირდაპირ ჩაერთონ დიალოგსა და მოლაპარაკებებში განაცხადში მითითებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით. IPAM-ს შეუძლია შესთავაზოს შესაძლებლობათა ზრდა ან/და ექსპერტის ცოდნა, რათა დაეხმაროს მხარეებს აღნიშნულ პროცესში.

**4.2 პრობლემების გადაწყვეტის საკითხებში სათანადო კონსულტანტების შერჩევა.** პრობლემების გადაწყვეტის აქტივობებს შეიძლება გაუძღვეს უშუალოდ IPAM-ი, ან განხორციელდეს კონსულტანტების მხარდაჭერით. IPAM-ის მიზანი იქნება მოიწვიოს სათანადო კვალიფიკაციისა და ლინგვისტურ-კულტურული ცოდნის მქონე ადგილობრივი და რეგიონალური მედიატორები, დამხმარეები და თარჯიმნები, პრობლემის გადაწყვეტის ინიციატივის ეფექტიანად გადაჭრის მიზნით.

**4.3 შესაბამისობის საკითხებში სათანადო კონსულტანტების შერჩევა.** შესაბამისობის შეფასებისა და შემოწმების ღონისძიებებს უხელმძღვანელებს უშუალოდ IPAM-ი, თუმცა, IPAM-ს შეიძლება დახმარება გაუწიონ კონსულტანტებმა. IPAM-ი მოიწვევს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტებს, შესაბამისობის შემოწმების კონკრეტული მიმართულებით სამუშაოს მოცულობის ეფექტურად შესასრულებლად.

**4.4 პრობლემების გადაწყვეტის შედეგები.** პრობლემების გადაწყვეტის შედეგებთან ერთად, რომლებიც განსაზღვრულია 2.4ე)i., ii. და iii. პუნქტებით, 2.4ე) iv. პუნქტი უზრუნველყოფს, რომ კონკრეტული პროექტის ინსტიტუციონალური გამოცდილება და IPAM-ის გამოცდილების ხელმძღვანელობისთვის გაზიარება მოხდეს არა

მხოლოდ ხელმძღვანელობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ფუნქციის მეშვეობით, არამედ პრობლემების გადაწყვეტის ეტაპის დასრულების დროს ან/და მას შემდეგაც. IPAM-ი უზრუნველყოფს ოფიციალურ უკუკავშირის ბანკის ხელმძღვანელობასთან იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც იყენებენ პრობლემების გადაწყვეტის ფუნქციას, რითაც შეიქმნება განაცხადის უკუკავშირის ციკლი ორივე ფუნქციისთვის. ნებისმიერი უკუკავშირის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება კონფიდენციალურობის მოთხოვნები და საქმესთან დაკავშირებული შეზღუდვები.

## **5 შესაბამისობის შეფასება**

**5.1 პირდაპირი, ირიბი და მატერიალური ზიანის შეფასება.** პოლიტიკის დოკუმენტის 2.6 პუნქტის შესაბამისად, შეფასება იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა პროექტი პირდაპირი ან ირიბი და მატერიალური ზარალის მიზეზს ან შესაძლო მიზეზს, შეიძლება მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს) პროექტის ზემოქმედების ან შესაძლო ზემოქმედების მიმართულების, სიდიდის, გეოგრაფიული მასშტაბის, ხანგრძლივობის, შექცევადობის, სიხშირისა და ალბათობის ეფექტების ან პოტენციური ეფექტების შეფასებას, როგორც ეს განაცხადშია მითითებული.

## **6 საქმის განხილვის ზოგადი დებულებები**

**6.1 ვიზიტი ობიექტზე:** IPAM-ი ითანამშრომლებს მხარეებთან IPAM-ის ობიექტზე ვიზიტის დაგეგმვისას. მხარეები გაივლიან კონსულტაციებს და შესთავაზებენ მათ წვლილი შეიტანონ ობიექტზე ვიზიტის დღის წესრიგში; მონაწილეებთან შეხვედრებში; ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მოსაზრებებში; და რისკის შერბილების ღონისძიებებში, საჭიროების შემთხვევაში. IPAM -ი გააზიარებს საკვანძო "ძირითად წესებს" და პირობებს ობიექტზე ვიზიტისათვის და IPAM-ის ობიექტზე ვიზიტში მონაწილეობის მისაღებად.

**6.2 მუქარა.** IPAM-ის მუქარასთან დაკავშირებული პროცედურები ითვალისწინებს კონფიდენციალურობას, რისკის შეფასებას, რისკის შერბილებასა და მონიტორინგს. შესაძლებლობების ფარგლებში, IPAM-ი კონსულტაციებს გამართავს განმცხადებლებთან (და მათ წარმომადგენლებთან, ასეთების არსებობის შემთხვევაში) მუქარის რისკის შეფასებასა და შემარბილებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რათა IPAM-მა მაქსიმალური შესაძლებლობების ფარგლებში შეძლოს პრობლემებთან მიახლოება თითოეული საქმის განხილვის კონტექსტში.

თუ IPAM-ის საქმეში ჩართული რომელიმე პირი, განიცდის რაიმე სახის მუქარას, მან აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს IPAM-ს:

- ა) შესაძლებლობის შემთხვევაში, IPAM-ის თანამშრომლ(ებ)ის მეშვეობით, რომელთანაც მას აქვს ურთიერობა; ან
- ბ) IPAM-ის საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით, რომელიც მითითებულია 1.2 ნაწილში ზემოთ ან კომუნიკაციის სხვა ნებისმიერი უსაფრთხო არხის მეშვეობით, რომლის გამოყენებაც მისთვის არის მოსახერხებელი.

თუ IPAM-ის თანამშრომლებისთვის ცნობილი გახდა მუქარის ინციდენტის შესახებ, მექანიზმი აღნიშნულის შესახებ შეატყობინებს ბანკს, ბანკის ინვესტიციებთან დაკავშირებული კრიტიკისა და საჩივრების განხილვის EBRD-ის შიდა სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად.

## **7 საინფორმაციო კამპანიები და ტრენინგი**

**7.1 ტრენინგისა და საინფორმაციო კამპანიების საჭიროებები.** IPAM-ი მიესალმება უკუკავშირს ცალკეული პირისგან, ორგანიზაციის, ბანკის ხელმძღვანელობისგან და კლიენტებისგან ტრენინგების, საინფორმაციო კამპანიებისა და შესაძლებლობათა ზრდის საჭიროებების შესახებ. IPAM-ი ასევე მიესალმება უკუკავშირს ეფექტურ საკომუნიკაციო პლატფორმაზე, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საზოგადოების ინფორმირება იმ ქვეყნებში, სადაც ბანკი საქმიანობს.

**7.1 IPAM-ის ცნობადობა.** კონკრეტულ განვითარების პროექტებში EBRD-ის ინვესტიციებისა და IPAM-ის არსებობისა და მანდატის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება IPAM-ის მისაწვდომობის ხელშეწყობის პროცესის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. პროექტის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმები, როგორც წესი, მოიცავს კლიენტის ვალდებულებას გაუმჟღავნოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაცია EBRD-ის მიერ პროექტის დაფინანსების შესახებ ადგილობრივი კონტექსტისთვის მნიშვნელოვანი გზით და მიაწოდოს EBRD-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის განყოფილების საკონტაქტო ინფორმაცია ([csso@ebrd.com](mailto:csso@ebrd.com)), ისე, რომ საკითხის დაყენება, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს EBRD-ის ხელმძღვანელობასთან. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის განყოფილებას შეუძლია ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს მიაწოდოს ინფორმაცია IPAM-ის არსებობის შესახებ, კერძოდ, თუ

დაინტერესებული მხარე მიიჩნევს, რომ ხელმძღვანელობის საპასუხო ზომებით ვერ მოხერხდა წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა.

#### **ნაწილი IV: საჯაროობა**

წინამდებარე სახელმძღვანელო მითითება გამოქვეყნდება IPAM-ის ვებგვერდზე.

#### **ნაწილი V: ამოქმედების თარიღი**

წინამდებარე სახელმძღვანელო მითითება ძალაში შედის პოლიტიკის დოკუმენტის ძალაში შესვლის დღიდან.

#### **ნაწილი VI: გადაწყვეტილებების მიღების ჩარჩო**

IPAM-ის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებაზე.

IPAM-ის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია წინამდებარე სახელმძღვანელო მითითებაზე.

#### **ნაწილი VII: შესაბამისი დოკუმენტები**

1. პროექტის ანგარიშვალდებულების პოლიტიკის დოკუმენტი POL/2019/[ ]
2. გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტი (POL/2019/[ ])
3. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის დოკუმენტი (POL/2019/[ ])